

06/07/2026



MES 7 26 0000872818

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 25 ივნისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83070355504>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:**

**ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

**ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

**ანააროშიძე** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

**გოგიტა მშვენთიაძე** – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

**სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ჭუჭულაშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ნია გუგუნავა** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ნათია მჭედლიძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო ხელაძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ირმა ღარიბაშვილი

მიმოზა ლოლიჯაშვილი

ზაირა ბერიძე

თეკლე ცუცქირიძე

ალინა კუპრავა

ეკა ბუთხუზი

თათია გივიშვილი

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**„სსიპ კოლეჯი „ერქვანი“**

კოლეჯის დირექტორი – ილია ოშხერელი

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი – დარეჯან ჭელიძე

**სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“**

დირექტორის მოადგილე – ნანული ხვისტანი

ხარისხის მართვის მენეჯერი – თეონა ჯაფარიძე

**შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია**

აკადემიის დირექტორი – შორენა უზუნაძე

აკადემიის იურისტი – მეგი ბაკურიძე

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი – მზია ბაკურიძე

**შპს „გეოგლობალ აკადემია“**

დირექტორი – გიორგი კვარაცხელია

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი – ნატალია ბარათელი

**სსიპ კოლეჯი ქართლი**

ხარისხის მართვის მენეჯერი – ჯონი ხაჩიძე

## **შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი**

კოლეჯის დირექტორი – გარი ჩაფიძე;

ხარისხის მართვის მენეჯერი – ნატო ესიავა.

### **საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

1. „სსიპ – კოლეჯ „თეთნულდის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის N1064635 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს გეოგლობალ აკადემიაში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯი ქართლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განმეორებითი განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

**პირველი საკითხი:** „სსიპ – კოლეჯ „თეთნულდის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის N1064635 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯი თეთნულდის N660173 – 02/06/2026 და N672464 – 04/06/2026 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „ელექტრობა“ პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები (კრედიტები):

პროგრამის სახელწოდება – „**ბუღალტრული აღრიცხვა**“

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **97** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **127** კრედიტი

პროგრამის სახელწოდება – „**ელექტრობა**“

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი

დაწესებულების გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებამდე ჩარიცხული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ იმ პროგრამული რედაქციის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი ჩარიცხვა. პროგრამის მოდიფიცირებული ვერსია გავრცელდება მხოლოდ მისი ძალაში შესვლის შემდგომ ჩარიცხულ სტუდენტებზე. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამებში ასახულია სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია სწავლების დისტანციური ფორმით განხორციელების დასაბუთება, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N1064635 – 03/09/2025 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ – კოლეჯ "თეთნულდის" ავტორიზაციის შესახებ” პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის N1064635 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს “სსიპ – კოლეჯ "თეთნულდის" ავტორიზაციის შესახებ” პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის N1064635 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „ელექტრობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 25 ივნისი.

**მეორე საკითხი:** „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯი ერქვანის N678501 – 05/06/2026, N699812 – 11/06/2026 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ბუღალტრული აღრიცხვა" და "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები (კრედიტები):

პროგრამის სახელწოდება – **"ბუღალტრული აღრიცხვა"**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **97** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **127** კრედიტი

პროგრამის სახელწოდება – **"ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **55** კრედიტი

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **70** კრედიტი

დაწესებულების გადაწყვეტილებით, შესაბამისობაში მოყვანილი პროგრამით სწავლება განხორციელდება 2027 წლის საგაზაფხულო მიღების ჯგუფებიდან.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N936728 – 31/07/2025 (ცვლილება N560626 11/05/2026) გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს "სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის“ და "ინფორმაციის

ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 25 ივნისი.

**მესამე საკითხი:** შპს გეოგლობალ აკადემიაში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი განხილულ იქნა 2026 წლის 24 აპრილის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, სადაც აკადემიას მიენიჭა ავტორიზაცია, თუმცა, ამავდროულად, რამდენიმე კომპონენტში ჩაინიშნა მონიტორინგი. კერძოდ, მონიტორინგი განისაზღვრა ინსტიტუციური ნაწილის 5.1 კომპონენტში, აგრეთვე საბაჟო საქმის, საფინანსო სერვისებისა და ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში, 2.2 და 2.4 კომპონენტებში. აღნიშნა, რომ ვეტერინარიის პროგრამის ნაწილში მონიტორინგი ჩაინიშნა ბოლნისის მისამართზე მხოლოდ 2.2 კომპონენტში, ხოლო საბაჟო საქმისა და საფინანსო სერვისების პროგრამებზე – როგორც მარნეულის, ისე ბოლნისის მისამართებზე, 2.2 და 2.4 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტაციის გამოთხოვა.

განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, 2 ივნისს, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წერილობით მიმართა დაწესებულებას და შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სთხოვა. მიმდინარე წლის 3 ივნისს დაწესებულებამ წერილით წარადგინა მითითებული ყველა ინდიკატორის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც თავდაპირველად გარკვეულ ნაკლოვანებებს შეიცავდა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, აკადემიამ 12 ივნისის წერილით დამატებით წარმოადგინა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ წარმოდგენილი მასალების სრულყოფილად შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საბჭომ იმსჯელოს აკადემიისთვის ჩანიშნული მონიტორინგის დასრულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გეოგლობალ აკადემიაში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი

ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გეოგლობალ აკადემიაში (ს/კ: 405337880) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ კოლეჯი ქართლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ირმა ღარიბაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის №1847872 სხდომის ოქმისა და „სსიპ – კოლეჯ „ქართლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ მონიტორინგის შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მაისის №591214 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 21 მაისს სსიპ კოლეჯ „ქართლში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა მონიტორინგის ვიზიტი. აღნიშნული მონიტორინგი ჩაინიშნა საბჭოს მიერ ცენტრის წინაშე აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა კოლეჯის მე-2 სტანდარტში (2.2. კომპონენტში) „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემოწმებას, ადგილზე ვიზიტის ფორმით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 18 სექტემბრის N1176224 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 15-17 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ქართლში“, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განახლდა პროფესიული სტანდარტი, რამაც წარმოშვა დამატებითი მატერიალური რესურსის შეძენის საჭიროება. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ აიღო ვალდებულება, 2026 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყო შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა. მონიტორინგის დღის განრიგის შესაბამისად, განხორციელდა

დაწესებულების წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეამოწმა პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსი, დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. დაწესებულების წარმომადგენლის თანხლებით, ასევე, ვიზუალურად შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეფასდა პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა მუშაობის შედეგები და ძირითადი მიზნების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა ადმინისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციასთან გამართული ინტერვიუს შედეგად ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე პერიოდში კოლეჯს გამოცხადებული აქვს მსმენელთა მიღება „შედულების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამ დროისთვის რეგისტრირებული 16 აპლიკანტიდან 13-ს პირველ პრიორიტეტად არჩეული აქვს სსიპ კოლეჯი „ქართლი“; ამასთანავე, გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯის გეოგრაფიული მდებარეობისა და რთულად მისადგომი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სტუდენტთა შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით, მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები ადგილობრივი თვითმმართველობის (ადმინისტრაციულ) ორგანოებთან. აღნიშნული თანამშრომლობა გულისხმობს სტუდენტური ტრანსპორტის ერთობლივი თანადაფინანსების პრინციპით უზრუნველყოფას.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის N1176224 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 15-17 ოქტომბერს განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ქართლში“), მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად“. მონიტორინგის პროცესში შემოწმებული დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამა 2.2 კომპონენტთან მიმართებით „სრულ შესაბამისად“ შეაფასა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მთლიან სტანდარტთან პროგრამის „შესაბამისობას“.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის გამოყოფილია შედულების სახელოსნო; სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით; საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი სრულად. დაწესებულების მიერ შეძენილია მრავალფეროვანი სპეციალიზებული აპარატურა, მათ შორის არგონში ალუმინის შედულების, ულტრაბგერითი, პლასტმასის, პოლიეთილენის მილების, აირალური და ინდუსტრიული მულტიპროცესორული შედულების აპარატები, დამხმარე ხელსაწყოები და უსაფრთხოების ინვენტარი. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ მე-4 დონის ახალი სტანდარტის პროგრამა სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი მატერიალური ბაზით. სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნიკითა და ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი, ხოლო ბიბლიოთეკის მატერიალური და ელექტრონული ფონდი სრულად პასუხობს სწავლის შედეგების მიღწევის საჭიროებებს. ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის შეფასების საფუძველზე, პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კვოტა განისაზღვრა 15 ადგილით.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

აღნიშნული მიზნით კოლეჯს შერჩეული ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც მოიცავს სულ 9 პროფესიული განათლების მასწავლებელს, საიდანაც 4 პირი უძღვება პროფესიულ მოდულებს, ხოლო 5 – ზოგად მოდულებს. სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა სრულად შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსს“, არ აღემატება კვირაში 40 საათს და იძლევა პროგრამის სრულფასოვანი, მდგრადი განხორციელების შესაძლებლობას. ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელდა პერსონალთან გასაუბრება და გადამოწმდა მათთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პერსონალის პირადი საქმეები, კვალიფიკაციის, პედაგოგიური პრაქტიკისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რამაც დაადასტურა მათი მაღალი კომპეტენცია, ხოლო უმრავლესობის შემთხვევაში – მრავალწლიანი პედაგოგიური სტაჟი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა და უშუალო საგანმანათლებლო პრაქტიკის შეფასება ფიზიკურად შეუძლებელი იყო, მასწავლებლებთან გასაუბრებამ მკაფიოდ აჩვენა მათი მაღალი პროფესიული მზაობა. პერსონალი აქტიურად იყო ჩართული მოდულების ადაპტირებისა და წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებში და გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტანდარტების შესაბამისად დაწყებას.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

კოლეჯის შიდა რეგულაციებით ზუსტად არის რეგლამენტირებული ხელმძღვანელის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო აღნიშნულ პოზიციაზე იდენტიფიცირებულია სფეროს მოქმედი, კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც თავადაც მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში. პირადი საქმის შესწავლითა და ინტერვიუებით დადასტურდა მისი უშუალო და აქტიური მონაწილეობა „შედულების“ პროგრამის დაგეგმვის, ფორმირებისა და შემუშავების პროცესში, რაც ხაზს უსვამს მის მზაობას პროგრამის ეფექტიანი მართვისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

კოლეჯში არსებული რესურსები ორმხრივადაა ხელმისაწვდომი, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესს. ბიბლიოთეკარი ეფექტურად უზრუნველყოფს მასალების მიწოდებას როგორც სტუდენტებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს მოწყობილ სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტთან დაკავშირებულ კომპიუტერებსა და პრინტერს მასალების ბეჭდვისა და სკანირებისათვის. რესურსების რეალური ხელმისაწვდომობა და დაწესებულების სრული მზაობა დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუებით, ამასთანავე, სასწავლო მიზნებისთვის გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი ინდივიდუალური კაბინეტები და წიგნადი ფონდი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებს წვდომა აქვთ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს აქვს სრული მზაობა ამ მიმართულებით, რაც გამყარებულია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, სადაც დეტალურად არის გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების, მოდულების მოდიფიკაციისა და აკომოდაციის პროცედურები. არსებული სისტემა იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტის

გამოკვეთისთანავე ოპერატიულად და მიზნობრივად განხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება კონკრეტულ პირზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კოლეჯის ფინანსური ბაზა სრულად იძლევა პროგრამის სტაბილური და უწყვეტი ფუნქციონირების შესაძლებლობას. პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების ძირითად წყაროს პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება წარმოადგენს. აღნიშნული საპროგნოზო ბიუჯეტი დეტალურად ითვალისწინებს ყველა აუცილებელ ფინანსურ კრიტერიუმს, როგორცაა პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ნედლეულისა და მასალების შესყიდვა, ასევე სხვა მიმდინარე ადმინისტრაციული, კომუნალური და საკანცელარიო ხარჯები. პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იყო ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ ქართლში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

#### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯი ქართლში (ს/კ: 243919033) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**მეხუთე საკითხი:** შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

#### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

#### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზაირა ბერიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის №417329 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) კომპონენტის შესაბამისობის შეფასების მიზნით. მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 აპრილს. წინა ვიზიტის (დაწესებულების განმეორებითი ავტორიზაცია – 2025 წლის 23–25 ივნისი) ფარგლებში 5.1 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისობაში“, ვინაიდან დაწესებულებას 5.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით (სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის არარსებობა) წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა. აღნიშნული გეგმის განხორციელების ვადად თავდაპირველად განსაზღვრული იყო 2025 წლის სექტემბერი, თუმცა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ვადა გადაიწია 2026 წლის 16 თებერვლამდე.

ავტორიზაციის საბჭომ მონიტორინგი დანიშნა დოკუმენტების გამოთხოვის გზით, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას უნდა წარმოედგინა 5.1.2.1 ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცენტრიდან შესაბამისი წერილის გაგზავნის შემდეგ დაწესებულებამ აცნობა, რომ ვერ შეძლო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში და წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, რომლის ვადებად განსაზღვრულია 2026 წლის 18 თებერვლიდან 16 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრმა მიზანშეწონილად მიიჩნია არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება დაწესებულებაში, რათა გადამოწმებულიყო ფაქტობრივი მდგომარეობა. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ განახლებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები სრულად არ არის შესრულებული და 5.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა (კერძოდ – სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა) კვლავ არ არის დაკმაყოფილებული.

დასკვნის პროექტის დაწესებულებისთვის გაზიარების შემდგომ, დაწესებულების მიერ არგუმენტირებული წერილის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხი და დამატებითი დოკუმენტაცია მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებული, თუმცა წარმოდგენილი მასალები და ფაქტობრივი გარემოებები ამ ეტაპზე სრულად ვერ ადასტურებს ხარვეზის აღმოფხვრასა და შესაბამისობის უზრუნველყოფას, შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, 5.1.2.1 ინდიკატორი კვლავ შეუსაბამოდ განიხილება სტანდარტის მოთხოვნებთან.

## გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.2.1-ის ფარგლებში გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ: დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის საბოლოო დასკვნა, ხოლო დამატებითი საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა არ არის განხორციელებული. კერძოდ, შენობაში რომლის მე-6 სართულზე არის განლაგებული კოლეჯი, სახანძრო კიბე მოწყობილია მხოლოდ პირველი ორი სართულის ნაწილში და სამუშაოების გაგრძელება არ იკვეთება. აღნიშნული საკითხი იდენტიფიცირებული იყო წინა ვიზიტის ფარგლებშიც, რის საფუძველზეც დაწესებულებას მიეცა ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ვადა (2026 წლის 16 თებერვლამდე), თუმცა მონიტორინგის შედეგებით დადგინდა, რომ მოთხოვნა კვლავ შეუსრულებელია.

დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

აკადემიამ წარმოადგინა შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის მე-6 სართულზე იჯარით აღებული 930 კვ.მ ფართობისა და 205.8 კვ.მ საერთო სარგებლობის სივრცის აზომვითი ნახაზები და საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც ძალაშია 2031 წლის 1 ოქტომბრამდე. აღნიშნული ინფრასტრუქტურა მოიცავს ფოიეს, აივანს, 8 სასწავლო აუდიტორიას (მათ შორის ქიმიურ ლაბორატორიას, აფთიაქის სიმულაციურ გარემოსა და კომპიუტერულ კლასს), ბიბლიოთეკას, არქივს, ადმინისტრაციულ და სარეკრეაციო სივრცეებს, ასევე 5 სანიტარულ კვანძს, რომელთაგან ერთი ადაპტირებულია. ყველა სივრცე აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, ხოლო რესურსების მართვა რეგულირდება „მატერიალური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესით“, რაც ფაქტობრივი დათვალიერებითა და ინტერვიუებითაც დადასტურდა.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, სტუდენტებსა და თანამშრომლებს აქვთ სრული უფლება და წვდომა გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკა მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შენობაში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიები, მოსასვენებელი ზონები და თავისუფლად ხელმისაწვდომი აივანი სოციალური ინტერაქციისთვის, რაც ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს.

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

აკადემიაში მოქმედებს სპეციალური ინსტრუქტაჟი, რომელიც დეტალურად ანაწილებს პასუხისმგებლობებსა და დასუფთავების პროცედურებს. ვიზუალური დათვალიერებით, დოკუმენტაციის შესწავლითა და პერსონალთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ტექნიკური პერსონალი ყველა სივრცის ყოველდღიურ დასუფთავებასა და ნარჩენების გატანას მკაცრად გაწერილი გრაფიკის მიხედვით ახორციელებს.

შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შენობაში დაფიქსირდა სათანადო ტემპერატურული რეჟიმი, რასაც უზრუნველყოფს გამართულად ფუნქციონირებადი ცენტრალური გათბობის სისტემა. აღნიშნული ტექნიკური პირობები გარანტიას იძლევა, რომ წლის ცივ პერიოდშიც შენარჩუნდება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად, სტაბილურად და კომფორტულ გარემოში წარმართვისთვის აუცილებელი ფიზიკური პირობები.

5.1.1.5 – დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

აკადემიაში დანერგილია შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა და დანიშნულია სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს რისკების შეფასებას (გეგმიურად ყოველ 4 თვეში

ერთხელ), მონიტორინგსა და ადმინისტრაციისთვის რეკომენდაციების წარდგენას. დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პერსონალს პერიოდულად უტარდება დოკუმენტირებული ტრენინგები პირველადი დახმარების, სახანძრო, ელექტროუსაფრთხოებისა და ევაკუაციის საკითხებზე, რაც სისტემურ და დოკუმენტურად გამყარებულ მიდგომას ადასტურებს.

დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით მკაფიოდ არის გაწერილი მომარაგების ვადები, პროცედურები, რესურსებისა და ნარჩენების მართვა. დადგენილი მექანიზმით, მასწავლებელი ვალდებულია მოდულის დაწყებამდე 1 კვირით ადრე წერილობით წარადგინოს საჭირო მასალების სია, რის საფუძველზეც ხორციელდება მათი მიზნობრივი შესყიდვა, დასაწყობება, გაცემა და აღრიცხვა.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად ატარებს სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევებს, ახორციელებს პროცესზე (ინფრასტრუქტურასა და IT ბაზაზე) დაკვირვებას და ამუშავებს სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს. კვლევების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები გადაეცემა ადმინისტრაციას და მათ საფუძველზე იგეგმება რესურსების განახლებისა და გაუმჯობესების დოკუმენტირებული სამოქმედო გეგმები.

ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ ქალებისა და მამაკაცების სველი წერტილები გამიჯნულია, უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ვენტილაციითა და ჰიგიენური საშუალებებით, ასევე ფუნქციონირებს სპეციალურად ადაპტირებული სანიტარული კვანძი შშმ პირებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ფაქტობრივი ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ კოლეჯის ყველა სასწავლო აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასში, პრაქტიკულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკის სივრცესა და ადმინისტრაციულ სამუშაო ოთახებში უზრუნველყოფილია ორმხრივი (როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური) განათება.

სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

კოლეჯის შენობაში მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისგან ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები, სასწავლო აუდიტორიები და სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების დამხმარე სათავსოები. ექსპერტთა შეფასებით, სივრცეების ამგვარი დაგეგმარება და ლოგისტიკური განლაგება სრულად უწყობს ხელს სასწავლო და მმართველობითი საქმიანობის შეუფერხებელ წარმართვას.

მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. აკადემიაში ფუნქციონირებს ინვენტარიზებული წიგნადი ფონდით, კომპიუტერებითა და საორგანიზაციო ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც მუშაობს კვირაში 6 დღე. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ განთავსებულია საჯაროდ, ხოლო ყველა სერვისი (ბეჭდვა, ასლების გადაღება და სხვა) უფასოა. ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ვებგვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო სამიებო სისტემა „Open Biblio“ და გაციფრებული სასწავლო მასალები, რაც შშმ პირების ჩათვლით ყველა მომხმარებლისთვის უზრუნველყოფს მოქნილ წვდომას.

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

მიუხედავად იმისა, რომ შენობა ახალია და მიღებულია ექსპლუატაციაში, მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა კრიტიკული ხარვეზი სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით.

დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის საბოლოო დასკვნა, ხოლო დამატებითი საევაკუაციო გასასვლელისა და კიბის მოწყობის სამუშაოები დასრულებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიამ წარმოადგინა განახლებული გეგმა (ვადით 2026 წლის 16 აგვისტომდე), ხელშეკრულებები ხელოსნებთან, მასალების შესყიდვის ზედნადებები და ფოტომასალა, რაც მიუთითებს სამუშაოების შედარებით აქტიურ ფაზაში გადასვლაზე, ამ ეტაპზე ოფიციალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტის არარსებობის გამო უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვა ვერ დასტურდება.

დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი დახმარების საშუალებებითა და მედიკამენტებით სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია კვალიფიციური მედდა, რომელიც აწარმოებს ინციდენტების სარეგისტრაციო ჟურნალს. სტუდენტები და პერსონალი სრულად არიან ინფორმირებულნი გადაუდებელი შემთხვევების დროს სამოქმედო მექანიზმების შესახებ, ხოლო თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საგანგებო ტელეფონის ნომრები.

